საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ **ნიკოლოზ სამხარაძეს** (ცნობისათვის)


მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ბ. [redacted] ტელ.: [redacted]


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ**

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადების **„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) კუთხით საკონსულო ფუნქციების საკანონმდებლო დონეზე სათანადო რეგულირების შესახებ;
- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **წერილი**
- ✓ ამონარიდები - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან **(TRAFFICKING IN PERSONS REPORT)**

პატივისცემით,

19/10/2022


საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13718/22
24 10 2022 წ. ფურც. 12

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

**საკანონმდებლო წინადადება**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) კუთხით საკონსულო ფუნქციების საკანონმდებლო დონეზე სათანადო რეგულირების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) კუთხით მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოსთან მიმართებით არსებული მდგომარეობა. ამ მხრივ ჩვენს სახელმწიფოში არსებული ვითარება ბოლო წლების განმავლობაში დადებითადაა შეფასებული (იმყოფება პირველ კალათაში[1]). ამასთან, განსხვავებით საქართველოსი, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა კონცენტრაციის ადგილებში არ გვხვდება არა თუ ანალოგიური სიტუაცია, არამედ ტრეფიკინგის რისკის შემცველი ფაქტორები საკმაოდ დიდია. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული 2015-2021 წლების ანგარიშების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით ფიქსირდება ტრეფიკინგთან/ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გარემოებები (მაგ.: თურქმენეთი, კვიპროსი, ეგვიპტე, თურქეთი[2], არაბთა გაერთიანებული საემიროები, ისრაელი, ერაყი, ესტონეთი[3], ჩინეთი), რომლებიც თავისთავად




[1] 2022 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, პირველ კალათაში იმყოფებიან შემდეგი სახელმწიფოები: ARGENTINA, AUSTRALIA, AUSTRIA, THE BAHAMAS, BAHRAIN, BELGIUM, CANADA, CHILE, COLOMBIA, CYPRUS, CZECH REPUBLIC, ESTONIA, FINLAND, FRANCE, GEORGIA, GERMANY, GUYANA, ICELAND, LITHUANIA, LUXEMBOURG, NAMIBIA, NETHERLANDS, PHILIPPINES, SINGAPORE, SLOVENIA, SPAIN, SWEDEN, TAIWAN, UNITED KINGDOM, USA.

[2] **Turkey**: 303 victims officially identified in 2017 by the Ministry of Interior, Directorate General of Migration Management (DGMM) Main types of exploitation: sexual exploitation, forced begging and forced labour Main countries of origin: Syria, Kyrgyzstan, Uzbekistan, Morocco, **Georgia**, Republic of Moldova, Ukraine, Russian *Federation, Azerbaijan, Turkmenistan.* https://respect.international/wp-content/uploads/2016/03/Counter-

ყურადღებას მოითხოვს. თუმცა, საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მონაცემებით საკითხის სიმწვავე არ იკვეთება. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, თუ სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ მოახერხეს კოორდინირებული თანამშრომლობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 20/04/2022 4938 წერილის თანახმად:

- 2015-2016 წლებში 4 საქართველოს მოქალაქე, ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლები, დაბრუნდნენ საქართველოში.
- 2017-2020 წლებში არ მომხდარა საზღვარგარეთ ტრეფიკინგის (სავარაუდო) მსხვერპლების იდენტიფიცირება. შესაბამისად, არ დამდგარა მათი დაბრუნების საჭიროება.
- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის 2015-2021 წლების სტატისტიკა:
  - 2015 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 7 საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ.
  - 2016-2020 წლებში არ მომხდარა საქართველოს მოქალაქე მსხვერპლების იდენტიფიცირება საზღვარგარეთ.

ზემოხსენებულის შესაბამისად, სავარაუდოა, რომ იკვეთებოდეს მონაცემთა იდენტიფიცირების ან/და გამოვლენილი ფაქტების თაობაზე ინფორმაციის თავმოყრის პრობლემა. გამოწვევა კვლავ რჩება სამუშაო შეხვედრების ჩატარებისა თუ სახელმძღვანელო მითითების მიუხედავად. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016, 2017-2018 და 2019-2020 წლების საქმიანობის ანგარიშებში აღნიშნულია შემდეგი:

- საკონსულო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ერთ-ერთ სალექციო თემატიკად განსაზღვრულია „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და სახელმწიფოს ვალდებულება". სასწავლო კურსის დამთავრების შემდგომ სწავლებაში მონაწილე მოხელეები აბარებენ ტესტურ გამოცდას და, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ეძლევათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოში საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის შესაძლებლობა (2015-2016 წლების საქმიანობის შედეგები);
- 2018 წლის 28-29 მარტს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ათენში, საბერძნეთში საქართველოს დიპლომატიური

Trafficking-Directory-for-Embassies-and-Consulates-Staff-2019.pdf
*წყარო: https://respect.international/wp-content/uploads/2016/03/Counter-Trafficking-Directory-for-Embassies-and-Consulates-Staff-2019.pdf*

[3] **Estonia**: Men from Ukraine, Moldova, Belarus, and **Georgia** are subjected to labour exploitation within Estonia, particularly in construction, agriculture and forestry https://respect.international/wp-content/uploads/2016/03/Counter-Trafficking-Directory-for-Embassies-and-Consulates-Staff-2019.pdf

წარმომადგენლებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგ კურსი ტრეფიკინგის საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს თესალონიკში, სტამბულსა და ტრაბზონში საქართველოს საკონსულო დაწესებულებების კონსულებმა და თურქეთში, იტალიასა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოების საკონსულო წარმომადგენლებმა;

- საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალურ სასწავლო პროგრამის კურსის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 16 აპრილიდან 12 ივნისის პერიოდში, შეტანილ იქნა ტრეფიკინგის მოდული (გადამზადდა 48 მონაწილე).
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საკონსულო თანამდებობის პირთა შეკრების ფარგლებში, ქ. თბილისში 2018 წლის 10-15 დეკემბერს 56 და 2019 წლის 4-8 თებერვალს 22 საკონსულო თანამდებობის პირი გადამზადდა ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/ დაზარალებულთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით.
- 24/06/2020 მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა „ტრეფიკინგის სახელმძღვანელო საკონსულო თანამდებობის პირებისათვის". ინსტრუქციული ხასიათის პუბლიკაცია განკუთვნილია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნება, სამართლებრივი ჩარჩო, რეფერალური მექანიზმები, ჩასატარებელ მოქმედებათა დეტალური აღწერილობა და სხვა. საგარეო საქმეთა მინისტრის 26/05/2020 N.01-95 ბრძანებით აღნიშნული სახელმძღვანელო დამტკიცდა საკონსულო თანამდებობის პირების სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

ტრეფიკინგის რისკების შემცირებას, თავისთავად ასევე უწყობს ცნობიერების ამაღლებაც. 2015-2016, 2017-2018 და 2019-2020 წლების საქმიანობის ანგარიშებში აღნიშნულია შემდეგი აქტივობები:

- საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით დამზადებული საინფორმაციო ბროშურები („რჩევები საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის") 2015 წლის II კვარტლის განმავლობაში საჭიროებისამებრ მიეწოდათ საქართველოს საელჩოებს შემდეგ ქვეყნებში: არგენტინა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იტალია, ყაზახეთი, კვიპროსის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, უზბეკეთი და შვეიცარიის საელჩო რუსეთის ფედერაციაში (საქართველოს ინტერესების სექცია); ასევე, საქართველოს საკონსულო დაწესებულებებს ქ. სალონიკში, ქ. ფრანკფურტსა და ქ. განჯაში. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსულო დეპარტამენტში არსებული დაბეჭდილი ბროშურები სრულად დაეგზავნათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებს, 2015 წლის მე-2 კვარტლის შემდეგ არ განხორციელებულა აღნიშნული ბროშურების მიწოდება, რადგან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მითითებული ბროშურების ნაკლებობა არ გამოვლენილა.

- 2017-2018 წლებში მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა და ფონდს გადაეცა 25.000 ცალი ექვსენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, თურქული) ბროშურა, 4.500 ცალი ორენოვანი One-pager (ქართულ-ინგლისური და ქართულ-რუსული). **5000** ცალი ექვსენოვანი ბროშურა გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში შემდგომი გავრცელების მიზნით. 2017 წლის მე-2 და მე-3 კვარტლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში გააგზავნა ფონდის მიერ მომზადებული **4300** საინფორმაციო ბროშურა ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ.
- 2019-2020 წლების ანგარიშებში საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მიერ საინფორმაციო მასალების გავრცელების კუთხით განხორციელებული აქტივობები არ იკვეთება[4].

წლების განმავლობაში ჩატარებული პროფესიული განვითარების პროგრამები/ აქტივობები მათ საქმიანობას შესატყვისად არ წარმოაჩენდეს. **2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის** შესრულების ანგარიშის თანახმად, 2015 წელს თურქმენეთში საქართველოს საელჩოს მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემუშავდა საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების გეგმა. შედეგად, 2015 წლის 1 ივლისს საქართველოს საელჩოს მიერ საქართველოს მოქალაქის სახელზე გაიცა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა. 2016 წლის მარტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოსული განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობდა მუშაობა თურქეთის რესპუბლიკაში მყოფი ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის, საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების თაობაზე. თურქეთის შესაბამისი უწყებების მიერ ჩატარებული **მოკვლევის შედეგად, გაირკვა,** რომ 2016 წლის აპრილში ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლი საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა საქართველოში. თურქეთის მხრიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თურქეთის სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა ბრალდებული პირების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება. გარდა ამისა, 2016 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ორი მოქალაქე დაბრუნდა თურქეთიდან საქართველოში[5]. ანგარიშის მოცემულ ნაწილში აქცენტირება არის გაკეთებული მხოლოდ მსხვერპლის საქართველოში დაბრუნებაზე. ამასთან, ინფორმაცია - ისარგებლა თუ არა

---

[4] კომენტარი: 2015-2016 წლების ანგარიშებით, თვლადი მონაცემები გავრცელებული საინფორმაციო მასალის შესახებ არ არის მოცემული. ამასთან, 2017-2020 წლების განმავლობაში საქართველოს დიპლომატიური სამსხურის მიერ, უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს საკონსულო სამსახურებისათვის იმ ოდენობით მიწოდება, რაც ემიგრაციაში მყოფები პირების 1%-აც არ შეადგენს;

5 2017-2018 წლების და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების 3.2.2. საქმიანობით გათვალისწინებულ ნაწილში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ფაქტობრივი ინფორმაცია არ იკვეთება.

საქართველოს მოქალაქემ იმ უფლებებით და შესაძლებლობებით, რომელსაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო ანიჭებს არ არის ხაზგასმული. უფრო მეტიც. თურქეთთან მიმართებით, შესაძლოა იკვეთებოდეს - რომ მსხვერპლთან საკონსულო თანამდებობის პირს მუდმივი კომუნიკაცია არ გააჩნდა, ასევე, საყურადღებოა კომპენსაციის მიღების თაობაზე ინფორმაციის აღუნიშვნელობაც.

შესატყვისი ინფორმაციის უქონლობა არა მხოლოდ რისკების შემცირების მიზნით საქმიანობის შემდგომ დაგეგმვაზე იმოქმედებს უარყოფითად, არამედ რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულში მხილებულ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მონიტორინგსაც. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის (მილიონზე მეტი თანამოქალაქე, მოსახლეობის 20-25%) გათვალისწინებით და ხშირ შემთხვევაში ცხოვრების/ მუშაობის ლეგალური სტატუსის არქონით - საჭიროებს რესურსის სწორად მიმართვა და ქმედებათა სათანადო მექანიზმების შემუშავება.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** უცხოეთში ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ბრძოლის, მათ შორის რისკების და ფაქტების (შესაძლო) გამოვლენის არასაკმარისი ქმედებები.

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციაში განსაზღვრულია, რომ ადამიანებით ვაჭრობა მძიმე დანაშაულია, რომელიც ხშირად ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულის ფორმით. ხსენებულ გამოწვევასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია შესაბამისი ძალმისხმევის სწორედ მიმართვა. ტრეფიკინგის შემთხვევების შემცირება მხოლოდ რესურსის მობილიზებით არ იქნება შესაძლებელი. საჭიროა, რომ პროცესესმა გაითვალისწინოს ახლებური ხედვები და მეთოდები. ზემოხსენებული მონაცემები, მათ შორის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, ავლენს სხვადასხვა კუთხით ქმედებათა განხორციელებაზე ნაკლოვანებებს. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ <u>ინფორმაციის გაცვლის კუთხით სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის უქონლობამ,</u> სავარაუდოა, რომ <u>უარყოფითად იმოქმედოს</u> „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>ამოცანის შესრულებაზე</u> <u>(ადამიანით ვაჭრობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შეფასება)</u>. თუმცა, თანამშრომლობის მექანიზმებზე შეთანხმებამდეც, მიზანშეწონილია საკონსულო სამსახურების მიერ ტარდებოდეს ქმედებები სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვის და რისკების და საფრთხეების თაობაზე ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციის დამუშავებაზე. „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები, რომელთა შორის <u>საზღვარგარეთ საქართველოს</u>

მოქალაქეთა ლეგალური შრომისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ და სხვა სახის საინფორმაციო მასალის გავრცელება მოცემულია დიპლომატიური სამსახურთან მიმართებით. თუმცა, როგორც სამოქმედო გეგმის ანგარიშებით იკვეთება, არა მხოლოდ საჭირო ოდენობით მასალათა გავრცელების კუთხით არის პრობლემა, რაც შესაძლოა არასაკმარისი საბიუჯეტო ან/და დონორი ორგანიზაციის სახსრებით იყოს განპირობებული, არამედ მის ნაირსახეობაში, ხოლო იქ სადაც მისი შემუშავება პრობლემურია (მაგალითად მუდმივად განახლებადი ლეგალური შრომის შესახებ ინფორმაცია), მიზანშეწონილია, რომ ხსენებულის თაობაზე უფლებამოსილმა პირმა უშუალო შეხვედრებისას ფიზიკურ პირ(ებ)ს გააცნოს. სამოქმედო გეგმის ანგარიშებით დიასპორულ ორგანიზაციებთან შეხვედრისას ინფორმაციის გაცვლის აქტივობები. საწყის ეტაპზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმების მხრივ შესაძლებელია დანერგილ იქნეს ქვემოაღნიშნული ღონისძიებები[6]:

- ✓ საკონსულო ოლქის შემოვლის დროს თემატური შეხვედრის გამართვა[7];
- ✓ საკონსულო აღრიცხვაზე ელექტრონულად დაყენების მომთხოვნ პირთათვის (ან/და აღრიცხვაზე მყოფ პირისათვის ყოველწლიურად) საინფორმაციო მასალის ელ. ფოსტაზე მიწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ გასვლითი საკონსულო მომსახურების ჩატარება და საკონსულო აღრიცხვაზე ელექტრონული დადგომა რამდენიმე წელია აქტუალურად

---

6 „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკონსულო ოლქის შემოვლა გულისხმობს საკონსულო ოლქის ფარგლებში საქართველოს ფიზიკურ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილების მონახულებას, მათი პრობლემების შესწავლას, მათთვის აქტუალური და საკონსულო თანამდებობის პირის ხელთ არსებული ინფორმაციის მიწოდებას და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ადგილზე გარკვეული დახმარების გაწევას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 23/04/2020 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის მიზნით, საქართველოს ფიზიკური პირი უფლებამოსილია ასევე მიმართოს საქართველოს წარმომადგენლობას, პირადად ან მისი კანონიერი წარმომადგენელის მეშვეობით უშუალოდ გამოცხადებისას განცხადების წარდგენის გზით, ვებ-გვერდის და ასევე საფოსტო გზავნილის მეშვეობით. ვებ-გვერდის მეშვეობით ასევე შესაძლებელია საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის მიზნით გამარტივებული ფორმით ელექტრონული განცხადების წარდგენა. ამასთან, ამ წესით გათვალისწინებული დანართი N7-ის 2.8 პუნქტის გათვალისწინებით, განცხადებაში ასევე მიეთითება ელ. ფოსტის მისამართი;

7 არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შემცირებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კანონით ნაგულისხმებია არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შემცირება.

გამოიყენება, ტრეფიკინგის/ ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით შემხვედრი ნაბიჯები დღემდე არ დაგეგმილა. ოლქის ფარგლებში თემატური შეხვედრის გამართვა ან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მომსახურების მომთხოვნი პირისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის (ცნობიერების ამაღლების მიზნით) საკანონმდებლო დონეზე სავალდებულოდ განსაზღვრა უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების უფრო ჯეროვნად შესრულებას და შესაბამისად, შეამცირებს იმ რისკებს, რომელიც ადამიანით ვაჭრობის და შრომითი ექსპლუატაციის კუთხით არსებობს[8]. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია საკონსულო საქმიანობის მონიტორინგის დროსაც. კერძოდ, შესაძლებელია საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა მონაცემების დამუშავება (როგორც ავტომატური, ასევე, მექანიკური გზით) უცხოეთში პირის ყოფნის მიზეზთან დაკავშირებული მიზეზების/ გარემოებების (მაგ.: დასაქმების სფერო, დამსაქმებლის ვინაობა, ქმედითუუნარობა) რისკის შემცველ ფაქტორად იდენტიფიცირების გზით. შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ამ მხრივაც შეიძლება განვრცობილ იქნეს. საკანონმდებლო აქტი შესაძლოა არა მხოლოდ ფუნქციურ ნაკლოვანებებს/ უზუსტობებს შეიცავდეს, არამედ სხვა საკანონმდებლო ნორმებთან არათანხვედრასაც. „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა - შესაბამისი დოკუმენტების გაცემის კონტროლი[9], საქართველოს მოქალაქეთა **და საქართველოში**

[8] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ეკომიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების უფლებების განგრძობადი დაცვისა და ხელშეწყობის მიზანთან მიმართებით, ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია საკონსულო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის. იხ. ბმული: https://parliament.ge/legislation/24597

[9] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 08/12/2009 N255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსულო დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანათაგანი/ ფუნქციათაგანს წარმოადგენს - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საკონსულო სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და საკონსულო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და საკონსულო მონიტორინგის განხორციელება;

მუდმივად მცხოვრებ პირთა[10] საზღვარგარეთ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების დადებისათვის მოლაპარაკებების გამართვა და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების განსაზღვრა. ამ ვითარებაში, ყურადსაღებია იმ უცხოელთა შრომითი უფლებების საზღვარგარეთ რეალიზაციის კუთხით საქართველოს სახელმწიფოს ინტერესის ან/და ვალდებულების განსაზღვრა, რომელთაც გააჩნიათ საქართველოში ყოფნის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები, მათ შორის მუდმივი ცხოვრების ნებართვა ან უვადო ბინადრობის ნებართვა[11]. საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთ არსებული ქვედანაყოფების როლის წარმოჩენა ამ პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია. „ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები თანამშრომლობენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, რათა ადამანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე, დაზარალებულზე უმოკლეს ვადაში გასცენ:
  - პირადობის მოწმობა ან/ და საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა;
  - უზრუნველყონ საქართველოში მისი უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა.
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიზნით უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა (უფლებამოსილება გათვალისწინებულია ყველა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართ).

---

[10] საქართველოს მთავრობის 01/09/2014 520 დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ) კანონის მე-15 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუდმივი ცხოვრების ნებართვა და „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უვადო ბინადრობის ნებართვა გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით;

11 შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოებთან სამუშაო ძალის გაცვლის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება და ხელშეკრულებების დადება. მიგრაციის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონის თანახმად, შრომითი მიგრაცია არის ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში, დასაქმების მიზნით. უმეტეს ქვეყნებში შრომითი მიგრაცია რეგულირდება მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, ზოგი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს მის ფარგლებს გარეთ მიგრაციის რეგულირებაში და საკუთარ მოქალაქეთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში:
წყარო: https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას პირადობის მოწმობის (ID ბარათი) გაცემის პროცესს - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე პირადობის ელექტრონული მოწმობა გაიცემა მისი წარდგენიდან 45 დღის ვადაში. იგივე ვადებია გათვალისწინებული ბიომეტრული მონაცემების შემცველობის პასპორტის[12] გაცემის შემთხვევაშიც. მოცემულ ვითარებაში მხედველობაშია მისაღებია საზღვრის კვეთისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ვარგისიანობაც. გარდა დროულობისა, რეპატრიაციის პროცესისას აუცილებელია ღირსების და უფლებების დაცვით პირის დაბრუნების უზრუნველყოფაც. ამას გარდა, მსხვერპლის საქართველოში დაბრუნების პროცესისას ან/და მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას შესაძლებელია საჭირო გახდეს შესაბამის უცხო სახელმწიფოს გავლით გამგზავრების რისკებიც (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით გამოკვეთილი 2015 წლის შემთხვევა - შსს და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ჩართულობა ხაზს უსვამს პროცესის ამ მხრივ დაგეგმვის საჭიროებასაც). პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისი მოქალაქის ან მუდმივად მცხოვრები პირის უკან დაბრუნებას დაუბრკოლებლად, მისი პირადი უსაფრთხოების სათანადო დაცვის გათვალისწინებით, თუ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდა მიმღებ სახელმწიფოში. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დაბრუნებისას იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ან **მუდმივად მცხოვრები პირიცაა,** გათვალისწინებული უნდა იქნას პირადი უსაფრთხოება, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე დაწყებული სამართალწარმოება, ხოლო პირის დაბრუნება სასურველია მოხდეს ნებაყოფლობით[13]. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას სათანადო დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, წარმოშობის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლის სამგზავრო დოკუმენტის ან სხვა ისეთი ნებართვის გადაცემა მიმღები სახელმწიფოსთვის, რაც აუცილებელია

[12] არაბიომეტრიული მონაცემების შემცველობის პასპორტი შეიძლება გაიცეს, როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური მდგომარეობის, ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია პირისაგან ბიომეტრიული მონაცემების მიღება. მისი მოქმედების ვადაა 1 წელი;

[13] ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ;

ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისათვის[14]. ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესის მონიტორინგის პარალელურად, სასურველია იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხსადმი თვალისმიდევნებაც, რომელიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს შესაძლოა ჩადენილი ჰქონოდა იძულებით/ ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო (მაგ.: საზღვრის უკანონო კვეთა, ყალბი პასპორტის გამოყენება). ევროპის საბჭოს კონვენციის მე-20 მუხლით, სახელმწიფოებს ასევე ევალებათ შესაბამისი ზომების გატარება, რომლის შედეგადაც მსხვერპლი უზრუნველყოფილი იქნება იმ სტრუქტურების შესახებ ინფორმაციით, რომელსაც მისთვის დახმარების გაწევა შეუძლია იმ ქვეყანაში, სადაც **მოხდა** მისი დაბრუნება ან რეპარტიაცია[15]. პროცესში ლოგიკურია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი/ დაზარალებული იღებდეს უფლებებისა და შესაძლებლობების თაობაზე ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით და პროგრამებით გათვალისწინებულ სასარგებლო ინფორმაციასაც.[16] საკანონმდებლო აქტის სრულყოფის დროს, სასურველია, რომ

14 რეპატრიაციისა და დაბრუნების საკითხები ასევე გათვალისწინებულია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-16 მუხლითაც, რომლის თანახმად მონაწილე, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს მსხვერპლი ან რომლის ტერიტორიაზეც ამ პირს ჰქონდა მუდმივად ცხოვრების უფლება მიმღები მონაწილის ტერიტორიაზე შესვლის დროს, ხელს შეუწყობს ამ პირის დაბრუნებას არამართებული ან უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე, პირის უფლებების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით. მსხვერპლის დაბრუნებისას სახელმწიფოს მიერ ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი უსაფრთხოება და სასამართლო პროცესზე იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ იგი მსხვერპლია;

15 „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით მოცემულია განმარტებითი ნორმა - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია მოიცავს იმ სამართლებრივი, სოციალური და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ასევე უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით; „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 14-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულია სამართალდამცავი, საგამოძიებო, სასამართლო თუ სხვა შესატყვისი ორგანოების ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით; „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულია საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

16 პალერმოს დამატებით ოქმით ტრეფიკინგის მსხვერპლის მისთვის გასაგებ ენაზე სასამართლო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ ინფორმირების ვალდებულების გარდა, გათვალისწინებულია საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, მატერიალური დახმარების, სამართლებრივი დახმარებისა და უფასო სამართლებრივი კონსულტაციის მიღების საკითხები, ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის დანაშაულის ჩამდენი პირისაგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. კანონის მე-17 მუხლის მე-

მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის 11/04/2014 284 დადგენილებით დამტკიცებული წესი[17], ასევე ის აქტივობებიც, რომელსაც საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტებსა თუ სამოქმედო გეგმებში გვხვდება:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უწყებათაშორისი თანამშრომლობის ჩანართში არსებულ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ ფანჯარაში ჯერ ჯერობით არ არის მოცემული 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა[18]. თუმცა, 2019-2020 წლების დოკუმენტიდან ასევე იკვეთება შემდეგი:
  - საინფორმაციო მასალის გავრცელება საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, დიასპორულ ორგანიზაციებში, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში;
  - ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებ- გვერდებზე;
  - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა;
  - საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით;
  - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საბჭოს სამდივნოსთვის ინფორმაციის მიწოდება პერიოდული ანგარიშის მომზადებისა და გამოქვეყნების მიზნით;
  - პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებებ ის დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.
- საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში ტრეფიკინგის საკითხები მოცემულია სექტორული პრიორიტეტი 3-ში (არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა), ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ

---

2 პუნქტით გათვალისწინებულია **საერთაშორისო ორგანიზაციებთან,** <u>საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან</u> თანამშრომლობა - უსაფრთხო რეპატრიაცია და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, აგრეთვე დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით;

17 პირველი კონტაქტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლთან, როგორც წესი, აქვთ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და პოლიციის თანამშრომლებს, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამედიცინო დაწესებულებების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს. პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის შესახებ ეჭვის წარმოშობის ან მსხვერპლის მიერ თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში, მას უნდა ეცნობოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ და <u>გადაეცეს უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი.</u>

18 იხ. ბმული: https://justice.gov.ge/?m=articles&id=J8ScpS4H8u

ბრძოლასთან დაკავშირებული აქტივობები, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მიმართებით, როგორც პასუხისმგებელი უწყება არ არის მოცემული[19];

- 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის 6.2 პუნქტით განსაზღვრული ამოცანა (საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და მათი ინტერესებისრეალიზაცია)[20] არა თუ ინფორმაციის გაცვლის კუთხით სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობაზე ხაზგასმა, არამედ საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზეც კი არ კეთდება აქცენტი[21]. ამასთან, სტრატეგიის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ამოცანის შესაბამისად, განსაზღვრულია - ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან ლეგალური (მათ შორის ცირკულარული) მიგრაციის უზრუნველსაყოფად აქტიური მუშაობა.

გამომდინარე იქიდან, რომ არც „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენცია არ აკონკრეტებს იმ ქმედებებს, რომელიც საკონსულო თანამდებობის პირმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ შეიძლება მიმართოს[22], „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

---

19 არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სექტორულ პრიორიტეტში 3.1.1.2 ამოცანით (დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან მემორანდუმების გაფორმება), არის განსაზღვრული საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც პარტნიორი უწყება/ ორგანიზაცია იხ. ბმული: https://migration.commission.ge/files/ms_ap_2022_30.12.2021_v2.pdf

20 იხ. ბმული: https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx

21 სტრატეგიის 6.2. ამოცანით მოცემულია: კვალიფიციური საკონსულო მომსახურების და ოპერატიული საკონსულო დაცვისგანხორციელების მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი მექანიზმების დანერგვა. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის სამართლებრივი ბაზისშექმნის მიზნით უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება. საზღვარგარეთ საქართველოსახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნის გზით საკონსულო საქმიანობის განხორციელების სამოქმედოარეალის გაფართოება. საზღვარგარეთ კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებისას უცხოეთში მყოფითანამოქალაქეების დახმარება.

22 ცნობისათვის: „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციები - „საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სამართლებრივი დაცვა შეიძლება განხორციელდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებთან, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობის დროს. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია შესაბამისი რწმუნების გარეშე წარმოადგინოს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესები ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის პასუხისმგებელი წარმომადგენლის განსაზღვრამდე“. ვენის კონვენციის მე-5 მუხლით კი მოცემულია შემდეგი: „დაიცვას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ინტერესები იმ ფარგლებში, რომლებიც დაშვებულია საერთაშორისო სამართლით; დახმარება და ხელშეწყობა არ მოაკლოს წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს)“.

საქართველოს კანონში, ზემოხსენებულის გათვალისწინებით ცვლილებების შეტანა კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება. სასურველია წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები აისახოს, მაგალითად ქვემოაღნიშნული ფორმით:

- **მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს ფარგლების გარეთ დასაქმების მიზნით, უცხო ქვეყნებთან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმებისათვის მოლაპარაკებების გამართვას;

ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრას;

**გ)** მომსახურების სფეროში დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების მსურველი საქართველოს ფიზიკური პირებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემატიკაზე შესაბამისი ინფორმაციის/ მასალის დაგზავნას;

**დ)** საქართველოს მოქალაქეებთან მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ სტატისტიკური მონაცემების უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებიდან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან პერიოდულ გამოთხოვას. უცხო ქვეყანაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემცველი რისკების და საფრთხეების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის, საქართველოს კომპეტენტური ორგანოსათვის მიწოდებას;

**ე)** საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობებისა და საქართველოს ვიზების გაცემის, ~~ასევე საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების~~ საკითხთა მონიტორინგს.

- **მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შემდგომ დამატებულ იქნეს შემდეგი რედაქციის მქონე $5^1$ პუნქტი:**

**$5^1$.** საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირი უზრუნველყოფს საკონსულო ოლქის შემოვლის დროს, ადამიანით ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას.

- **მე-7 მუხლის დაემატოს შემდეგი რედაქციის მქონე მე-8 პუნქტი:**

**8.** საქართველოს დიპლომატიური სამსახური[23] ასევე უზრუნველყოფს:

---

[23] „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად პირის პირველადი იდენტიფიცირების ან/და ასეთი ფაქტების შემცველი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების თაობაზე საქართველოს და საჭიროებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

**ბ)** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის ხელშეწყობას, მათ შორის საცხოვრებელი პირობების, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარების ხელმისაწვდომობის მხრივ;

**გ)** ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლისათვის, მართლმსაჯულების და მისთვის გასაგებ ენაზე, სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

**დ)** ტრეფიკინგის მსხვერპლის უსაფრთხო და, სადაც ეს შესაძლებელია, საქართველოში/ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესის ხელშეწყობას. ადგილსამყოფელ ქვეყანაში ცხოვრების ან შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მესამე ქვეყანაში განსახლების შესაძლებლობის შესწავლას.

- **21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/ საკონსულო დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, სავარაუდო მსხვერპლის ან/და დაზარალებულის საქართველოში/ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხო და დროული დაბრუნების პროცესის ხელშეწყობის მიზნით:

ა) შესაბამის პირს აწვდის ინფორმაციას იმ უფლებების და შესაძლებლობის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს და ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით/ პროგრამებით. ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე ორგანოების და დაგეგმილი მგზავრობის შესახებ მონაცემებს;

ბ) აკონტროლებს ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ იძულებით გამოწვეული/ დაზარალებულად ყოფნის გამო ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პროცესს;

გ) საჭიროებისამებრ, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობს შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მოპოვების/ გამოთხოვის მიზნით. ასევე,

---

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ქვედანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. ამავე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განმარტებულია ტერმინის დიპლომატიური წარმომადგენლობის და საკონსულო დაწესებულების მნიშვნელობაც.

შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, გასცემს შესაბამის სამგზავრო დოკუმენტს ან/და სხვა საბუთს/ ცნობას.

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სახის ქმედებებს.

- **კანონპროექტის მიზანი**: კანონის პროექტების მიზანია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საზღვარგარეთ ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქის უფლებების დაცვის და დახმარების მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე სრულყოფა.
- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტების თანახმად, ხელახლა ჩამოყალიბდება კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი და 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. ასევე მე-6 მუხლს დაემატება $5^1$ პუნქტი, ხოლო მე-7 მუხლს კი მე-8 პუნქტი. ზემოხსენებული ცვლილებების შესაბამისად, ასევე განისაზღვრება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით ინფორმაციის/ მონაცემთა შეგროვების მექანიზმი, თანამედროვე ტექნოლოგიების და გასვლითი საკონსულო მომსახურების ფარგლებში ცნობიერების ამაღლების მექანიზმები, ტრეფიკინგის რისკების გამოვლენის დამატებითი საშუალებები. ასევე, უფლებების და შესაძლებლობების ინფორმირების და მათ ხელმისაწვდომობაზე კონტროლის გაწევის ვალდებულებები.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

**19/10/2022**

## ამონარიდები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული ანგარიშებიდან (TRAFFICKING IN PERSONS REPORT)

| |
|---|
| **2022 გამოქვეყნებული ანგარიში**[24]/ თურქმენეთის ნაწილი - Traffickers reportedly exploited some Georgian men and women in forced labor and some Turkish men in forced labor in Israel and Moldova. **2021 წლის გამოქვეყნებული ანგარიში**/ საქართველოს ნაწილი - Authorities screened 1,177 Georgian nationals deported from other countries for trafficking indicators at the international airport and border crossings (2,521 in 2019). While the government reported fewer inspections and interviews because of business and border closures in response to the pandemic, observers reported a lack of government capacity to identify victims of forced labor... Georgian victims returning to *Georgia* and foreign victims wishing to leave Georgia, but it reported no victims required repatriation assistance (none in 2019). გერმანიის ნაწილი - ...traffickers exploit victims from Georgia abroad. Traffickers recruit victims with false promises of well-paying jobs in tea processing plants, hospitals, salons, restaurants, and hotels. Traffickers exploit women and girls from Georgia in sex trafficking within the country and in Cyprus, Egypt, Turkey and the United Arab Emirates (UAE). ...Georgian men and women are exploited in forced labor within Georgia and in Cyprus, Egypt, Turkey, and UAE.. თურქმენეთის ნაწილი - Traffickers reportedly exploited some Georgian men and women in forced labor, and some Turkish men in forced labor in Moldova. **2020 წლის გამოქვეყნებული ანგარიში**[25]/ საქართველოს ნაწილი - Authorities screened 2,521 Georgian nationals deported from other countries for trafficking indicators at the international airport and border crossings (3,009 in 2018)... The government could provide repatriation assistance to Georgian victims returning to Georgia and foreign victims wishing to leave Georgia, but reported no victims required repatriation assistance (none in 2018).. Traffickers recruit victims with false promises of well-paying jobs in tea processing plants, hospitals, salons, restaurants, and hotels. Traffickers exploit women and girls from Georgia in sex trafficking within the country, and in Turkey and the United Arab Emirates.. Georgian men and women are exploited in forced labor within Georgia and in Turkey, United Arab Emirates, Egypt, Cyprus, and Iraq. ისრაელის ნაწილი - The government did not report updates on an investigation initiated in the previous reporting period of a Ministry of Agricultural and Rural Development official who facilitated the entry of Georgian citizens into Israel through the use of his employee pass in exchange for money from the Georgian nationals or their traffickers. თურქეთის ნაწილი - Traffickers reportedly exploited some Georgian men and women in forced labor and some Turkish men in trafficking and forced labor in Moldova. **2019 წლის გამოქვეყნებული ანგარიში**[26]/ საქართველოს ნაწილი - Authorities screened 3,009 Georgian nationals deported from other countries for trafficking indicators at the international airport and border crossings (3,085 in 2017). გერმანიის ნაწილი - The government could provide repatriation assistance to Georgian victims returning to Georgia and foreign victims wishing to leave Georgia, but reported no victims required repatriation assistance (three in 2017). Traffickers subject women and girls from Georgia to sex trafficking within the country, in Turkey, and, to a lesser extent, in China and the United Arab Emirates... Georgian men and women are subjected to forced labor within Georgia and in Cyprus, Egypt, Iraq, Turkey, and United Arab Emirates. ისრაელის ნაწილი - The government also reported an ongoing investigation into a Ministry of Agricultural and Rural Development official, who facilitated the entry of Georgian citizens into Israel through the use of his employee pass in exchange for money from the Georgian nationals or their traffickers. თურქმენეთის ნაწილი - Some Georgian men and women |

24 იხ. ბმული: https://www.state.gov/reports/2022-trafficking-in-persons-report/

25 იხ. ბმული: https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/06/2020-TIP-Report-Complete-062420-FINAL.pdf

26 იხ. ბმული: https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/06/2019-Trafficking-in-Persons-Report.pdf

were reportedly subjected to forced labor. Some Turkish men were subjected to trafficking and forced labor in Moldova. **2018 წლის გამოქვეყნებული ანგარიში**[27]/ საქართველოს ნაწილი - The government provided repatriation assistance to Georgian victims returning to Georgia and foreign victims wishing to leave Georgia; three victims received repatriation assistance to return to their home countries in 2017... Authorities also screened 3,085 Georgian nationals deported from other countries for trafficking indicators at the international airport and border crossings. ESWATINI-ს ნაწილი - Men from Ukraine, Moldova, Belarus, and Georgia are subjected to labor exploitation within Estonia, particularly in construction, agriculture, and forestry. Stateless residents in Estonia were especially vulnerable to trafficking. გერმანიის ნაწილი - Georgian men and women are subjected to forced labor within Georgia and in Turkey, United Arab Emirates, Egypt, Cyprus, and Iraq. Women and girls from Georgia are subjected to sex trafficking within the country, in Turkey, and, to a lesser extent, in China and the United Arab Emirates. იტალიის ნაწილი - Networks of workforce agencies recruit Ukrainian and Georgian workers to Israel through a fraudulent asylum-claim process and charge workers high mediation fees and sell them fake documents; these workers are vulnerable to exploitation. თურქმენეთის ნაწილი - Some Georgian men and women are subjected to forced labor. Foreign victims are commonly promised jobs in entertainment, modeling, or domestic work, but upon arrival are forced by traffickers into labor or prostitution in hotels, discos, and homes. არაბთა გაერთიანებული საემიროები - The government reported it assisted in the repatriation of nine Ukrainian victims from Armenia, Azerbaijan, Cyprus, Georgia, and Turkey. **2017 წლის გამოქვეყნებული ანგარიში/** საქართველოს ნაწილი[28]: and 442 Georgians deported from Turkey. გერმანიის ნაწილი: The government, in cooperation with foreign law enforcement, interviewed 117 Georgians employed outside of the country to screen for labor exploitation. The government demonstrated efforts to reduce the demand for commercial sex and forced labor.. Women and girls from Georgia are subjected to sex trafficking within the country, in Turkey, and, to a lesser extent, in China and the United Arab Emirates. Georgian men and women are subjected to forced labor within Georgia and in Turkey, United Arab Emirates, Egypt, Cyprus, and Iraq. თურქმენეთის ნაწილი: Trafficking victims in Turkey are primarily from Central and South Asia, Eastern Europe, Syria, Indonesia, and Morocco. Of the 183 victims identified in 2016, Syrians made up the largest number of victims (36) from a single country, followed by Kyrgyz (33), Georgians (23), and Uzbeks (16); the other 73 victims were from a range of countries including Indonesia, Moldova, Morocco, Pakistan, and Turkmenistan. Some Georgian men and women are subjected to forced labor. **2016 წლის გამოქვეყნებული ანგარიში/** საქართველოს ნაწილი[29]: Georgia are subjected to sex trafficking within the country, in Turkey, and, to a lesser extent, in China and United Arab Emirates.. Georgian men and women are subjected to forced labor within Georgia and in Turkey, Egypt, Cyprus, and Iraq.. გერმანიის ნაწილი: During the reporting period, law enforcement, in cooperation with third-country law enforcement, investigated 27 organizations that offered employment abroad to Georgian citizens and interviewed 105 Georgians employed outside of the country to screen for potential trafficking indicators. თურქეთის ნაწილი: Georgian men and women are subjected to forced labor. Foreign victims are offered cleaning and childcare jobs in Turkey and, upon arrival, traffickers force them into prostitution in hotels, discos, and homes.. The victims were predominantly from Central Asia, Eastern Europe, Georgia, Ukraine, and Syria. Ninety-eight victims accepted support services and 84 elected immediate repatriation, which the government facilitated. **2016 წლის გამოქვეყნებული ანგარიში/** საქართველოს ნაწილი[30]: Women and girls from Georgia are subjected to sex trafficking within the country, in

---

27 იხ. ბმული: https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/06/2019-Trafficking-in-Persons-Report.pdf

28 იხ. ბმული: https://www.state.gov/wp-content/uploads/2019/02/271339.pdf

[29] იხ. ბმული: https://2009-2017.state.gov/documents/organization/258876.pdf

[30] იხ. ბმული: https://2009-2017.state.gov/documents/organization/245365.pdf

| |
|---|
| Turkey, and, to a lesser extent, in China, Egypt, Greece, the United Arab Emirates, and Russia... Georgian men and women are subjected to forced labor within Georgia and in Turkey, Iraq, Russia, Azerbaijan and other countries. Georgian migrants pursuing employment in agriculture and other low-skilled jobs contact employers or agents directly, only later becoming victims in their destination country. ისრაელის ნაწილი - Since May 2013, the government continued to cooperate with the Government of Georgia in a case involving an Israeli man who sexually exploited a 10-year-old Georgian girl via the internet; the offender was convicted of sex trafficking in January 2015. In February 2015, he was sentenced to 16 years' imprisonment and fined $25,000. თურქეთის ნაწილი - Trafficking victims in Turkey are primarily from Central and South Asia, Eastern Europe, Syria, and Morocco. In previous years, Georgian men and women have been subjected to forced labor. Foreign victims are offered cleaning and childcare jobs in Turkey and, upon arrival, traffickers force them into prostitution in hotels, discos, and homes. Turkish women may be subjected to sex trafficking within the country and have been reported as victims in Europe |

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა, ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge [illegible]
24 a, Gorgasali str. 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4938

20 / აპრილი / 2022 წ.

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს
[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/2792, თარიღი: 01.02.2022) პასუხად, რომლის თანახმად, მოითხოვთ ინფორმაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით, გაცნობებთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული ინფორმაციის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2015-2020 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ასევე, გაწვდით მოთხოვნილ სტატისტიკურ მონაცემებს.

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნის მიზანია, რაც საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველო აქტიურად ატარებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საზოგადოებაში რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საბჭო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამტკიცებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიან ეროვნულ სამოქმედო გეგმას. 2015-2021 წლებში შემუშავდა და მოქმედებს საბჭოს მიერ დამტკიცებული ოთხი სამოქმედო გეგმა (2015-2016 წლების; 2017-2018 წლების; 2019-2020 წლების; 2021-2021 წლების). თითოეულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანა, საქმიანობა/აქტივობა, საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო და დასრულების ვადები, მათ შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების ფარგლებში, 2015-2020 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო შემდეგ საქმიანობებში:

საინფორმაციო მასალის გავრცელება საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორულ ორგანიზაციებში

2015 წელს საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით დამზადდა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ადგილობრივ ქვეყნებში არსებულ დიასპორულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები („რჩევები საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის"), რომლებიც შეიცავდა ინფორმაციას საკონსულო დახმარების და ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ. 2015 წელს აღნიშნული ბროშურები საჭიროებისამებრ მიეწოდათ საქართველოს საელჩოებს შემდეგ ქვეყნებში: არგენტინა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იტალია, ყაზახეთი, კვიპროსის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, უზბეკეთი და შვეიცარიის საელჩო რუსეთის ფედერაციაში (საქართველოს ინტერესების სექცია); ასევე, საქართველოს საკონსულო დაწესებულებებს ქ. სალონიკში, ქ. ფრანკფურტსა და ქ. განჯაში.

2017 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში გააგზავნა 4300 საინფორმაციო ბროშურა ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებგვერდებზე

საანგარიშო პერიოდში ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი. შესაბამისი ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებული იყო სამინისტროს ვებგვერდზე. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე, რიგ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებული იყო ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე. ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია შეიცავდა ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებსაც.

ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების ხელშეწყობა

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დაწესებულების მირითად ფუნქციას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა, რაც გულისხმობს მათ საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო დაბრუნებაში ხელშეწყობას, საქართველოში დასაბრუნებლად განკუთვნილი შესაბამისი დოკუმენტებით უზრუნველყოფასა და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობას. ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია იგზავნება საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებში.

2015-2016 წლებში 4 საქართველოს მოქალაქე, ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლები, დაბრუნდნენ საქართველოში. 2017-2020 წლებში არ მომხდარა საზღვარგარეთ ტრეფიკინგის (სავარაუდო) მსხვერპლების იდენტიფიცირება. შესაბამისად, არ დამდგარა მათი დაბრუნების საჭიროება.

საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით

ადამიანის ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთან/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხებზე საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებს პერიოდულად ეგზავნებათ ინფორმაცია ტრეფიკინგის და ადამიანის უფლებების/ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ნორმების შესახებ.

2015 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ საკონსულო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ერთ-ერთ სალექციო თემატიკად განსაზღვრული იყო „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და სახელმწიფოს ვალდებულება". სასწავლო კურსის დამთავრების შემდგომ სწავლებაში მონაწილე მოხელეები აბარებდნენ ტესტურ გამოცდას და, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, გადაეცემოდათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოში საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის შესაძლებლობა.

2018-2020 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე გადამზადდა საკონსულო თანამდებობის 150-მდე პირი.

2020 წლის 24 ივნისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა „ტრეფიკინგის სახელმძღვანელო საკონსულო თანამდებობის პირებისათვის". სახელმძღვანელო მომზადდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ევროკავშირის მხარდაჭერით, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. ინტერაქტიული ხასიათის ბმულებით გამდიდრებული სახელმძღვანელო მთელი საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ტრეფიკინგის დანაშაულის ნიშნები, სამართლებრივი ჩარჩო, რეფერალური მექანიზმები, ჩასატარებელი მოქმედებათა ლოკალური ალგორითმი და სხვა. საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 მაისის N.01-95 ბრძანებით აღნიშნული სახელმძღვანელო დამტკიცდა საკონსულო თანამდებობის პირების სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება-მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩართული იყო შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებსა და მოლაპარაკებებში, რომლებიც უკავშირდებოდა ტრეფიკინგის საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებების გაფორმებას:

- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ";
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ";
- შეთანხმება „საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ";
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ";
- შეთანხმება „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ";
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

2018 წლის 10-13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს", სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" წარმომადგენლებს, თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებსა და ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დამატებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო 2015-2020 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმების შესრულების პერიოდული და საბოლოო ანგარიშების, ასევე, ახალი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რადგან ამჟამად მიმდინარეობს წყარო უწყებებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვის პროცესი აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების მიზნით.

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული 2015-2021 წლების სტატისტიკა:

2015 წელს იდენტიფიცირებულ იქნა 7 საქართველოს მოქალაქე, რომლებიც მსხვერპლის ან დაზარალებულის[1]

სტატუსი მიენიჭათ მათ მიმართ საზღვარგარეთ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტზე, კერძოდ:

- 1 საქართველოს მოქალაქე ქალს მიენიჭა მსხვერპლის, ხოლო 1 საქართველოს მოქალაქე ქალს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი მათ მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 4 საქართველოს მოქალაქე ქალს მიენიჭა ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მათ მიმართ ეგვიპტეში განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე;
- 1 საქართველოს მოქალაქე [illegible] მიენიჭა ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მის მიმართ ეგვიპტეში განხორციელებული სქესობრივი ექსპლუატაციის ფაქტზე.

2016-2020 წლებში არ მომხდა საქართველოს მოქალაქე მსხვერპლების იდენტიფიცირება საზღვარგარეთ.

რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს გარეთ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო შემთხვევებს, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას. ეს საკითხი შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამჟამად მოქმედი 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2020 წლის 2 დეკემბრის გაფართოებულ სხდომაზე და, მისი წინამორბედი პოლიტიკის დოკუმენტების მსგავსად, ითვალისწინებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

სახელმწიფოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებით ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშით[2] საქართველომ გადაინაცვლა შეფასების უმაღლეს საფეხურზე, ე.წ. პირველ კალათაში, და ანალოგიური ადგილი შეინარჩუნა 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, 2018-2021 წლების ანგარიშების თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე.

---

[1] საქართველოს კანონმდებლობა ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით იცნობს ორ სტატუსს: ტრეფიკინგის მსხვერპლისა და ტრეფიკინგის დაზარალებულის. პირს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი ენიჭება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, ხოლო პირს დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს პროკურორი დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ტრეფიკინგის მსხვერპლი და დაზარალებული სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით და გარანტიებით. 2 საქმე გადაგზავნილია სასამართლოში.

[2] ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Trafficking in Persons Report - United States Department of State

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ
ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ (ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ)
[illegible]
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲚᲘ